# ხელშეკრულება № 20

ქ. ზუგდიდი 12 თებერვალი . 2016წ

ერთის მხრივ შპს ს/კ „ზუგდიდი" (ს/კ220370738) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ინალიშვილის სახით (შემდგომში - „დამკვეთი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „დაბლ ბი", (შემდგომში შემსრულებელი) მისი დირექტორის ბატონ ბექა ძიმისტარიშვილის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება:**

1.1ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიის (ზედაეწერის)ვადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის, იარუსიანი ტრიბუნის წინამდებარე ბარიერის და საფეხბურთო მოედნის დრენაჟის მოწყობის საპროექტო სამუშაოებისმ მომსახურეონა.
1.2 საპროექტო სამუშაოების ღირებულება შეადგენას 1500 (ათასხუთასი) ლარს გადასახადების ჩათვლით.

**მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები:**

2.1 დამკვეთი ვალდებულია:
2.2 უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „შემსრულებლისთვის" წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.
2.3„შემსრულებლისგან" მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;
2.4. „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
2.5 შემსრულებელი ვალდებულია:
2.6 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით განახორციელოს სამუშაოს შესრულება.
2.7 აცნობოს „დამკვეთს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა და/ან ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.
2.8. შემსრულებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს აღმოფხვრა და კომპენსაცია იმ დეფექტებისა, რომლებიც აღმოჩენილი იქნება ობიექტის ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარების და/ან საბოლოო კონტროლის შემდგომ;

**მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადები**

3.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღით.

მუხლი 4. მიღება – ჩაბარების წესი:

4.1 სამუშაო ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაბარებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
4.2 მიღება-ჩაბარებას განახორციელებს დამკვეთი შემსრულებელთან ერთად.
4.3 შესრულებული სამუშაოს ხარისხი, შემადგენლობა და მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების და მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

მუხლი 5. ანგარიშსწორება:

5.1 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და სამუშაოების სრულად შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში;

მუხლი 6. გარანტია:

6.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადაა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია შემსრულებლის მიზეზით, შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა:

7.1 ფორს-მაჟორული სიტუაციის გარდა, შემსრულებლის მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობისა და/ან მათი დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მის მიმართ გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
7.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების მითითებულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაგვიანებული დღისათვის ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მომენტიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ დამრღვევი მხარე პირგასამტეხლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს თანხის 0,01%-ის ოდენობით;
7.3 ჯარიმის გადახდის მოვალეობა არ ათავისუფლებს მხარეებს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;
7.4 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება.
7.5 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ფორს–მაჟორი:

8.1 ფორს–მაჟორული გარემოებების გამო, ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შეწყვეტა არ განიხილება, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ იწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის, „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსრულებლის და/ან დამკვეთის შეცდომებთან და გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვ.

მუხლი 8. სხვა დებულებები:

8.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია მხარეების მიერ მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა ხდება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად შეცვლის უფლება;
8.3 თუ რაიმე წინასწარგაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით შეატყობინოს შესაბამისი ინფორმაცია;
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
8.6 ხელშეკრულება დადებულია 2016 წლის 12 თებერვალს და მოქმედების ვადა განისაზღვრება 10(ათი) კალენდარული დღით. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 9. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

| | |
|---|---|
| შპს „ზუგდიდი" | შ.პ.ს. „დაბლ ბი" |
| ს/კ 220370738 | ს/კ 419999112 |
| ქ.ზუგდიდი, მცხეთის ქ. №17 | ქ. ზუგდიდი. ბუკიას ქ. №30/3 |
| სს „ლიბერთი ბანკი" | სს „თიბისი ბანკი" |
| ბ/კ LBRTGE22 | ბ/კ **TBCBGE22** |
| ა/ნ GE24LB0113192119822002 | ა/ნ **GE74TB7354236050100001** |
| დირექტორის მ/შ: /რ.პერტაია/ | დირექტორი: /ბ. ძიმისტარიშვილი/ |